საიდ. №65447/03
IR874293

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 16-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), ე. ქემაშვილი, დ. ჭიჭინაძე, ქ. კილაძის მდივნობით განიხილა კომპანია „დარველ ელელსი"-ს („Darwell LLC") (აშშ) სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 5 ნოემბრის №2071/03 ბრძანების ბათილად ცნობა. აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად განცხადებულ კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს „B BOGGI MILANO CASA FONDATA NEL 1939" (მწარმოებელი კომპანია არის ამერიკული) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან იგი შეცდომაში შემყვანია საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ, ვინაიდან „MILANO" არის ქალაქი იტალიაში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ ნიშანს უარი უნდა ეთქვა დაცვის მინიჭებაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის თანახმად.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი შალვა გვარამაძე არ ეთანხმება აღნიშნულ გადაწყვეტილებას და თვლის, რომ იგი უნდა გაუქმდეს და განცხადებული ნიშანი დარეგისტრირდეს საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ.

აპელანტი აღნიშნავს, რომ მე-3, მე-18 და 25-ე კლასების საქონელი, რომლისთვისაც მოითხოვება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის დაცვა, დამუშავებული და შექმნილია იტალიაში, მილანის რაიონში და იწარმოება აშშ-ში იტალიური რეცეპტურით და ესკიზებით, ხოლო 35-ე კლასის მომსახურებები დაკავშირებულია სწორედ ამ საქონელთან. აპელანტის განცხადებით, ცნობილია, რომ აღნიშვნა „BOGGI" ტიპიური იტალიური გვარია და მოცემულ სასაქონლო ნიშანში აღნიშნავს ადრინდელი მფლობელის ბატონ პაოლო ბოგგის გვარს, რომელიც დაიბადა სალერნოში და დიდ წარმატებას მიაღწია მილანში.

ამასთან, აპელანტი თანხმობას აცხადებს, რომ შეიზღუდოს მე-3, მე-18 და 25-ე კლასების საქონელი, კერძოდ ყველა კლასის საქონლის ჩამონათვალის ბოლოში დაამატოს ფრაზა „ამ კლასში შეტანილი ყველა საქონელი იწარმოება იტალიაში", ხოლო 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვლის ბოლოს კი ფრაზა „ამ კლასში შეტანილი ყველა მომსახურება დაკავშირებულია მე-3, მე-18 და 25-ე კლასების ზემოთ ჩამოთვლილ საქონელთან."

აპელანტი ითხოვს სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინოს ზემოთ მოყვანილი არგუმენტები, ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 5 ნოემბრის №2071/03 ბრძანება და განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „B BOGGI MILANO CASA FONDATA NEL 1939" მიენიჭოს დაცვა განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 5 ნოემბრის №2071/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგია ეთანხმება საქპატენტის ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და აღნიშნავს, რომ ვინაიდან განმცხადებელი კომპანია „დარველ ელელსი" წარმოადგენს ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგსიტრირებულ კომპანიას, ხოლო განცხადებულ სასაქონლო ნიშანში „B

BOGGI MILANO CASA FONDATA NEL 1939” შემავალი აღნიშვნა „MILANO” მიუთითებს იტალიაში მდებარე ქალაქზე, მომხმარებელს უქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული ნიშნით ნიშანდებული პროდუქცია წარმოებულია ქალაქ მილანში და ზოგადად წარმოადგენს იტალიურ პროდუქტს, მაშინ როდესაც მისი მფლობელი კომპანია არის ამერიკული. ამდენად, აღნიშნული ნიშანი შეცდომაში შემყვანია საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ.

თუმცა კოლეგიამ ასევე მხედველობაში მიიღო აპელანტის არგუმენტაცია, რომ აღნიშნული კომპანია „დარველ ელელსი”-ს პროდუქცია დამუშავებული და შექმნილია იტალიაში, მილანის რაიონში და იწარმოება აშშ-ში იტალიური რეცეპტურით და ესკიზებით, ხოლო 35-ე კლასის მომსახურებები დკავშირებულია სწორედ ამ საქონელთან, რის დასტურადაც აპელანტმა კომპანიამ წარმოადგინა წერილი. ამასთან, კოლეგიამ მიიჩნია, რომ უნდა დაკმაყოფილდეს აპელანტის შუამდგომლობა და მე-3, მე-18 და 25-ე კლასების საქონელი უნდა შეიზღუდოს შემდეგნაირად, კერძოდ ყველა კლასის საქონლის ჩამონათვალს ბოლოში დაემატოს ფრაზა „ამ კლასში შეტანილი ყველა საქონელი იწარმოება იტალიაში” („Goods produced in Italy”), ხოლო 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვლის ბოლოს კი ფრაზა „ამ კლასში შეტანილი ყველა მომსახურება დაკავშირებულია მე-3, მე-18 და 25-ე კლასების განცხადებულ საქონელთან” („Services in this class only related with goods from classes 3, 18, 25”).

კოლეგია თვლის, რომ განცხადებული საქონლის ჩამონათვლის ზემოაღნიშნული სახით შეზღუდვის პირობებში არ იარსებებს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა და ამდენად მას უნდა მიენიჭოს დაცვა განცხადებული საქონლისა და მომსახურების შეზღუდული ჩამონათვლის მიმართ.

ამასთან, სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ სიტყვას „MILANO” არ უნდა მიენიჭოს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა და იგი განცხადებულ ნიშანში უნდა შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტით დადგენილი სასაქონლო ნიშნისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 5 ნოემბრის №2071/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული

გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „დარველ ელელსი”-ს („Darwell LLC”) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 5 ნოემბრის №2071/03 ბრძანება.
3. განცხადებულ კომბინირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „B BOGGI MILANO CASA FONDATA NEL 1939” (IR874293) მიენიჭოს დაცვა განცხადებული საქონლისა და მომსახურების შეზღუდული ჩამონათვლის მიმართ. კერძოდ, მე-3, მე-18 და 25-ე კლასების ჩამონათვალი შეიზღუდოს შემდგენაირად: „ამ კლასში შეტანილი ყველა საქონელი იწარმოება იტალიაში” („Goods produced in Italy”), ხოლო 35-ე კლასი შემდეგნაირად: „ამ კლასში შეტანილი ყველა მომსახურება დაკავშირებულია მე-3, მე-18 და 25-ე კლასების განცხადებულ საქონელთან” („Services in this class only related with goods from classes 3, 18, 25”). სიტყვას „MILANO” არ მიენიჭოს დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა და ნიშანში შევიდეს დაუცველი ნაწილის სახით.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში. (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ეგუტია
წევრები:	ე. ქემაშვილი
	დ. ჭიჭინაძე